თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2488358

ნომერი: AR1384104

თარიღი : 11.03.2016

გაცემის თარიღი : 17.03.2016

გაცნობის თარიღი : 17.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის ქუჩა N21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ დემეტრაძე პ/ნ 01010006142
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 53

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/03/2016 წლის #2463101 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 11.03.2016 წლის #AR1384104 განცხადებით მომართა ვლადიმერ დემეტრაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

04/03/2016 წლის #2463101 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/03/2016 წლის #2463101 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის ქუჩა #21–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი N01.10.10.020.152) მრავალფუნქციური შენობის ,,ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.განმცხადებლის განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ ბრძანებაში მითითებული ფართების რამდენიმე პარამეტრი შეცდომით არის მითითებული, რის გამოც, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და დაფიქსირდეს შემდეგი მაჩვენებლები: კომერციული ფართობი – 645.5 კვ/მ. საზაფხულო ფართობი – 1321.2 კვ/მ. ავტოსადგომის ფარობი – 1274.4 კვ/მ. და შესაბამისად – საერთო ფართობი - 6981.7 კვ.მ. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/03/2016 წლის #2463101 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კომერციული ფართობი – 645.5 კვ/მ. საზაფხულო ფართობი – 1321.2 კვ/მ. ავტოსადგომის ფარობი – 1274.4 კვ/მ. საერთო ფართობი - 6981.7 კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04/03/2016 წლის #2463101 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.